



କାର୍ତ୍ତକାଶୀଳମୁଦ୍ରା ପ୍ରକାଶନକୁଳମୁଦ୍ରା

4  
2022





ሀ ከ ዳ ላ ቃ ዝ ን ዓ ደ ዘ ዓ ደ ዓ

# ԵԱՅՍԵԲՈՅՏԻ ԿՈՎԱԿԻՉԸՆ


נְבָאָה

ବ ଢ ଘ ନ ଶ ତ ଖ ନ୍ଦ ଚ



ବୁଦ୍ଧିମତ୍ତା କାହାରେ ପାଇଲା ?

იქსო ამქევეუნად იმიტომ  
მოვიდა, რომ ყველა, ვინც  
ირწმუნებს მას, დახსნილი  
იყოს. ის მოკვდა ჩვენი  
ცოდვებისათვის, მაგრამ  
აღდგა და ამაღლდა  
ზეცად. თანმიმდევრობით  
ამოიწერე წითელი ფერის  
ყველა ასო და გაიგებ, რა  
ელის ყველა დახსნილს.



օյշտ  
ռոմ ար  
մռևլուսպոր ամբարյանաց,  
ար օյնեցծովա Շոնձա! իս ռոմ  
ար մռմշկցարուսպոր Քյընտցունի  
Հյանին, ցցըլա աճամիանո  
լաօլուպէծովա.

განარებული  
და მაღლიერი  
კარ იესოსი  
იმისათვის, რომ  
უუყვარვარ. უფალმა  
საუკუნო სიცოცხლე  
მაწუქა და მე მასთან  
ერთად ვიქები  
ცაში.



ვ. დ.

## მობა

შობის საოცარ დღესასწაულზე  
მსურს განვაძილო ქრისტე ჩემს გულში.  
მსურს რომ სიმღერა წარმოუთქა მასზე,  
ან თუნდაც ლექსი საოცარ ხმაზე.

ვეცდები მთელ დღეს,  
არ დაგიზარებ...  
ლოცვით მიღმართავ,  
გულს გავიზარებ.

და მეტყვის მერე, მე შემოქმედი:  
„კარგია კარგი, ჩემო პატარა!  
ამისთვის მართლაც შესაქები ხარ  
და საჩუქრებიც გეპუთვნის, არა?“

მოიცა ერთ წამს! ჯობს რომ გავჩერდე,  
მგონი რაღაცას არ ვამბიბ ისე.  
დმერთს ჩვენ ვუჟვარვართ ამის  
გარეშეც, და მხოლოდ შობის  
დღესასწაულზე არ უნდა განვადიდოთ  
მისი სახელი.

ნ. ლ.

## იმ ღამით

შშვიდად ეძინა იმ ღამით ყველას,  
საოცარ წამებს არვინ ელოდა,  
მაგრამ ნათელი უფალმა ქვეყნად  
გამოაბრწყინა იესოს სახით!



ეს არ მომხდარა სადღაც დიდ სახლში,  
საძინებლებში ან პალატებში,  
ბაგაში მოხდა, იქ ცხოველები მშვიდად  
ელოდნენ შემოსვლას დილის.

თითქოს ესმოდათ მათ, რომ იესო  
არ მოელოდა კაცთაგან პატივს,  
რომ სჭირდებოდა არა სასახლე,  
არამედ სოფრცე მათი გულების.

ამიტომაც ვხსნი მე ჩემს გულს ფართოდ  
— და მინდა რომ მხსნელმა იცხოვროს  
მასში. მინდა რომ მუდამ მის გეერდით  
ვიყო, ვიყო მაცხოვრის ზეციურ სახლშიც.


# ცაიკითხე!

გადაიტანე ასოები „ბაგებიდან“ იმ უჯრებში, რომლებზედაც მიუთითებს ისრები და გაიგებ, რა არის აქ ნათქვამი



რომელი ბიბლიური ისტორიაა აქ  
გამოსახული? სცადე შენც დახატო ის  
ქადალდიდან ფანქრის აუღებლად.

# გამოისახი!



ნახატი ე. ნ.

# ოომელი ქართულის ცნობი?

1. რა ჰქვია იმ ქალაქს,  
საღაც იშვა იესო?

- ა) ნაზარეთი
- ბ) ბეთლემი
- გ) იერუსალიმი

2. აღგილი, საღაც  
გაჩნდა იესო?

- ა) სასტუმრო
- ბ) სამშობიარო სახლი
- გ) ბაგა

3. ვის უნდოდა ყრმა  
იესოს მოკვლა?

- ა) კეისარს
- ბ) პეროდეს
- გ) არქელაოსს



4. ვინ იყო იესოს  
ნამდვილი მამა?

- ა) იოსები
- ბ) ღმერთი
- გ) უცნობია

5. რას აკეთებდნენ  
მწყემსები, როცა იშვა  
იესო?

- ა) მწყემსდნენ ცხვარს
- ბ) ბანაობდნენ მდინარეში
- გ) ეძინათ

6. რამ ან ვინ მიუთითა  
მოგვებს გზა ყრმა იესოსკენ?

- ა) თავად იპოვეს გზა
- ბ) გარსკვლავმა
- გ) მეფე პეროდემ



ნახატი ვ. დ.

# იესოს შეპირება

გ. ტ.

იესოს მოწაფეებს ძალიან უყვარდათ თავიანთი უფალი. ერთად გატარებული სამი წლის მანძილზე, ისინი ისე დაუმევეობდნენ მას, რომ ახლა მხოლოდ ერთი რამ სურდათ; სურდათ მთელი ცხოვრება იესოსთან გაეტარებინათ!


მაგრამ ერთხელ მოწაფეებმა გაიგეს სიახლე, რომელმაც ისინი შეაშფოთა: იესო მალე უნდა მომკვდარიყო. თუმცა სიკვდილიდან სამი დღის შემდეგ ის აღდგება, და მერე ამაღლდება ზეცად თავის მამასთან. ეს რომ მოისმინეს, უფლის მეგობრები შეცდუნდნენ. „რატომ უნდა მოკვდე?“ - ტკივილიანი ხმით ეკითხებოდნენ მოწაფეები. - შეიძრალე თავი და ნუ დაგვტოვებ ჩვენ მარტო!“

საკითხი გასაგებია, მაშინ მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ იესო სწორედ ამის გამო მოვიდა აქეცეცნად: რომ მომკვდარიყო ადამიანთა ცოდვებისათვის. თუმცა ახლა მოწაფეები ვერ იჯერებდნენ იმას, რომ მოუწევდათ დაშორებოდნენ საყვარელ მოძვარს.

და აი, პასექის დღესასწაულის წინ იესომ მოწაფეებს მისცა შესანიშნავი დაპირება, და დაამშეიდა ისინი: „ახლა მე მივდივარ ჩემს ზეციერ მამასთან, რათა მოგიმზადოთ თქვენ ადგილი, შემდეგ კი კვლავ მოგალ და წაგიყვანთ ჩემთან.“ - „კი მაგრამ, როგორ ვიქნებით უშენოდ, შენი დახმარების გარეშე აქ, დედამიწაზე?“ - აღელვებით იკითხეს მოწაფეებმა. „ნუ გეშინიათ, - უპასუხა იესომ. - მე მოგივლენთ თქვენ სულიწმიდას, რომელიც იქნება თქვენი ნუგეშისმცემელი! ის თქვენს გულებში იცხოვრებს, დაგარიგებთ ყოველ ჭეშმარიტებაში და გაგახსენებთ ყველაფერს, რაზედაც გელაპარაკებოდით თქვენ.“

მოწაფეები დიდი ყურადღებით უსმენდნენ; იესოს შეპირებას დიდი იმედი მოჰქონდა? შიშები თანდათან გაიფანტა, თუმცა ერთი კითხვა ჯერაც აშფოთებდათ მათ. ბოლოს გაბედეს და დაუსვეს ის იესოს: „მოძღვარო,

ნახატი ლ. გ.





როგორი იქნება ნიშნები შენი მეორედ მოსვლისა? როდის მოხდება ეს?“

„არავინ, ჩემი ზეციერი მამის გარდა, არ იცის არც დღე, არც საათი, როდესაც ეს მოხდება, - უპასუხა იესომ. - მაგრამ, როგორც ელვა ელავს აღმოსავლეთიდან და დასავლეთამდე ჩანს, ასეთივე იქნება ჩემი მეორედ მოსვლა. მე მოვალ თქვენთან დრუბლებზე დიადი ძალითა და დიდებით, ჩემი ანგელოზები კი საყვირების ხმით შეკრებენ ჩემს მორწმუნებს, რათა წაყიყვანო ისინი ზეციურ სამეფოში.“

ალბათ, იმ მომენტში, თითოეულმა მოწაფემ გაიფიქრა, რამდენად მშვენიერი იყო იესოს ეს შეპირება? მათ იცოდნენ, რომ ქრისტე აუცილებლად შეასრულებს თავის სიტყვას და წაიყვანს მათ საოცარ ადგილზე - იმ ადგილზე, რომელზეც დაწერილია: „რაც თვალს არ უხილავს, ყურს არ მოუსმენია და ადამიანს გულში არ მოსვლია, ის მოუმზადა ღმერთმა თავის მოყვარულებს.“

გავიდა დრო, და მოწაფები დარწმუნდნენ იმაში, რომ იესოს სიტყვები მის ჯვარცმაზე და სიკვდილზე, აღდგომასა და ამაღლებაზე და ზეციურ მამასთან წასვლაზე ნამდვილად აღსრულდა. მან თავის მიმდევრებს სულიწმიდაც მოუვლინა, რომელიც იძლევა სიბრძნეს, სიხარულსა და ძალას ღმერთის მსახურებისათვის. და რა თქმა უნდა, იესოს აღთქმა მეორედ მოსვლის შესახებაც აღსრულდება.

ეს ისტორია შენ შეგიძლია წაიკითხო ახალ აღთქმაში (მათ. 16:21-22; 24:27-36; ოთან. 14:2-4; 16:7-16).

#### როგორ ფიქრობ?

1. რომელმა ცნობამ შეაშფოთა იესოს მოწაფები?
2. რას შეპპირდა უფალი თავის მოწაფებს?
3. გწამს შენ, რომ იესო აღასრულებს თავის შეპირებას?

# ბორვილებში

გაგრძელება

საღამოს დედა თავისი ხუთი ბავშვით პატარა ბამბუქის ქოხში იჯდა.

გარეთ უკვე ბნელოდა. მათ ერთადერთ ოთახში ცეცხლი ენთო, რომელიც ძლივს ანათებდა. ნანგი, უფროსი და ძაფს ახვევდა, რომლითაც თავისთვის კაბა უნდა მოექსოვა. ბეისა და ლონგს უკვე ეძინათ.

კარს უკან ნაბიჯების ხმა გაისმა. ვინ შეიძლება ყოფილიყო, ძალლიც რატომ არ ყეფს? კარი გაიღო და ოთახში მამამ შემოაბიჯა. ის ძალიან ავადმყოფურად გამოიყურებოდა. რაც მან ოპიუმის მოწევა დაიწყო, სუსტი და გამხდარი იყო. მამა ცეცხლისპირას დაჯდა. ყველანი დადუმდნენ. ბეი დაჟინებით შესცექროდა მამას. მას ისე უნდოდა ეყვირა: — მამა, ნუთუ არ იცი, რომ სიცოცხლე “მთვარის გარდაცვალებამდე დაგრჩა?!?” მაგრამ ხმის ამოღება ვერ შეძლო.

ბეიმ ვერც კი მოასწრო რაიმეს გაფიქრება, რომ გარეთ ძალლი აყეფდა. ამ დროს მათ ტერასაზე დაინახეს ანთებული ჩირალდანი. ნეტავ, ვინ არის?

— სახლში ხართ? — გაისმა უფროსი ბიძის ხმა.

— დიახ, სახლში ვართ, შემოდი!

ბეიმ მაშინევ შეამჩნია, რომ ბიძამისი ჩვეულებისამებრ მხიარული არ იყო. მიხვდა მისი მოსელის მიზეზს. ბიძამ მამას მომართა: — კარგია, რომ სახლში მოხვედი სიძე, შენთვის ცუდი ამბავი მაქვს. მთელი სოფელი კარგი განწყობით არ არის შენს მიძართ. უხუცესთა საბჭომ გადაწყვიტა, რომ აღარ გაქვს ჩვენ შორის ცხოვრების უფლება, შენ მხოლოდ უზედურება მოგაქვს ხალხისთვის. რატომ მოპარე უხუცესს კამენი?

ბეიმ დაინახა, რომ დედა ტიროდა. ნანგი და ჯო გაფართოებული თვალებით შესცექროდნენ ბიძას. ბეიმ თავი ვედარ შეიკავა და ისიც ატირდა. ბიძამ განაგრძო: — როცა გავიგე რომ სახლში დაბრუნდი, მაშინევ გამოვეშურე, რომ როგორმე დაგეხმარო. შენ უნდა შეწყვიტო ოპიუმის მოწევა, თუ არა... თუ არა... მღელგარებისგან სიტყვა დაეკარგა. ბოლოს მან წარმოთქვა:

— თუ არა, შენ მოგკლავნ. სიცოცხლე “მთვარის გარდაცვალებამდე” დაგრჩა. გუშინ ახალმთვარეობა იყო.

მთელი საღამოს განმავლობაში მამა პირველად ალაპარაკდა: — მე ძალიან მსურდა დამეტოვებინა, მაგრამ არ შემიძლია, ძალიან ვეცადე, მაგრამ მოთხოვნილება ისეთი ძლიერია... თქვენ რომ იცოდეთ, როგორ მსურდა მიმეტოვებინა, მაგრამ ვერ ვიპოვე ვერავითარი გამოსავალი. არა სიძე, არის გამოსავალი, მე მოვედი, რომ აგიხსნა

ნახაფი თაყო მაისურაძე



ამაზე. ხვალ უხუცესი დაგიბარებს. მე მსურდა, წინასწარ მეთქმა რადგან მურს დაგეხმარო. არის ერთი კინძე, რომელიც ძლიერია შენს ოპიუმზე, ის ასევე ძლიერია დემონებზე, მან გაიმარჯვა სატანაზე. მისი სახელია — იესო ქრისტე, ის ერთადერთი ძეა ცოცხალი ღმერთის. შენ თუ მას მიენდობი და გაჰყვები, შეუძლია გაგათავისუფლოს ოპიუმისგან.

- ეს თუ სიმართლეა, როგორ დავიჯერო ამ იესოსი?
- ხვალ მოდი უცხოელ მისიონერთან, ის შენ უკეთესად აგიხსნის, ვიდრე მე.
- მე არ შემიძლია დავიჯერო, რომე ვინძე დამეზმარება, — თავჩაღუნულმა ჩაილაპარაკა მამამ.
- მე თვითონ გამომიცდია, როგორ ათავისუფლებს იესო. შენ ხომ იცი, რომ მეც დავიწყე აპიუმის მოწევა და რა ძლიერი მოთხოვნილება მქონდა. გახსოვს, მთელი ჩემი ღორუები შევწირე დემონებს, რაღაც ჯერ ჩემი ბავშვები და შემდეგ ჩემი ცოლი ავად გახდნენ? იესომ გამათავისუფლა მე აპიუმზე მიჯაჭვულობისგან და დემონების შიშისგან. ხვალ დილით კვლავ მოვალ და ერთად წაგალთ მისიონერთან, მერე კი უხუცესთან.

### დემონებზე ძლიერი

მეორე დილით ბერ მღელვარებისგან ადგილს ვერ პოულობდა. ბიძამისმა ისეთი გამოსავალი იპოვა, მთელ დღესაც რომ ემტვრია თავი, ვერ მოიფიქრებდა. შეიძლება, ნამღვილად დაეჭმაროს მამას იესო?

როგორც კი ინათა, ბიძამისი და მამა სოფლის ბოლოს გაემართნენ, სადაც მისიონერები ცხოვრობდნენ. მოეუთმენლად ელოდა ბერ მათ დაბრუნებას. იდგა და შეკყურებდა შენის. როგორ გაიწელა დრო? შევა მამა სხვის სახლში? “თუ იესო დაეჭმარება მამაჩემს, მეც მინდა დავიჯერო ამ ძლიერი ღმერთის” — გაიფიქრა ბერი. ბოლოს, მოვიდა მამა, ბერ მას შევება.

- მოხვედი მამა? როგორი იყო?
- მამა უხმოდ შევიდა ქოხში, ჩამოჯდა პატარა, მძინარე ბიის გვერდით, ყურება დაუწყო თავზე.
- მამა, რა გითხრა თუთრმა კაცმა?
- მან თქვა, რომ იესო კველა დემონებსა და ოპიუმზე ძლიერია. მან ასევე თქვა, რომ იესოს აქვს წამალი, რომელიც დამეზმარება ოპიუმის დავიწყებაში, მაგრამ ჩემთვის ძნელია ამის უცებ გაგება, მე ჯერ მომიწვეს ამაზე ფიქრი, სანამ შევწყვეტ აპიუმის მოწევას. შეიძლება შევძლო “მთვარის გარდაცვალებამდე”, მაშინ ვერავინ დამიშვებს რაიმეს. წადი, ითამაშე, ბიის მე მივხედავ.
- მამა, ნუთუ არ გსურს, რომ ეცადო? რა კარგი იქნებოდა, თუ იესო დაგეხმარებოდა? მე უკვე ერთი სიმღერა ვიცი და ბეიმ დაიწყო: — იესომ გაიმარჯვა სატანაზე, მაგრამ მამა შებრუნდა, მას არ სურდა ამაზე ლაპარაკი...

გაგრძელება იქნება



# მოთმინების შესახებ

მჯდარხართ ოდესმე მდინარის ან ტბის პირას ანკესით ხელში? ყველაზე მთავარი აშ დროს — მოთმინებაა. საიმედო მოწყობილობა, კარგი სატეურა და სწორად არჩეული ადგილი — ცხადია საჭიროა. მაგრამ ყველაზე მთავარი — მოთმინების გამოჩენაა. მოთმინება საჭიროა თუ ავალმყოფობა, თუ ელი რაიმეს, თუ განიცდი უსამართლო ბრალდებებს და შეურაცხყოფასაც კი. დარწმუნებული ვარ, თქვენ გეშით, რაზეც ვლაპარაკობ.

როდესაც ჩვენ გვიჩდა გავიგოთ, რას ამბობს ბიბლია მოთმინების შესახებ, მაშინვე გვახსენდება იობი. ის ძალიან იტანჯებოდა. შვილები დაქოცნენ. მთელი მისი ქონება მტრებმა დაიტაცეს. ამასთან ერთად ის ისეთი საშინელი სენით დაავადდა, რომ არ შეეძლო ადამიანებს შორის ცხოვრება. თუმცა მან, მთელი ამ ტანჯვის დროს შეინარჩუნა ღმერთის იმედი. თუ იმედი გაქვს, მოთმინება შესაძლებელია. ხომ ასეა? იმედი გაქვს, რომ თუგზი წამოედება ანკესს, — და ელოდები და ელოდები. . . აღარც მოწყენილობა გიპყრობს.

იობს იმედი ჰქონდა, რომ ღმერთი ყველაფერს მოაგვარებდა. ეს აძლევდა მას მოთმინების ძალას. ამიტომაც შესძლო და გაუძლო საშინელ ტანჯვას. ღმერთი ჩვენ ვუყვარვართ. მან ყველაფერი იცის. მისი ნების გარეშე არაფერი ხდება. ამიტომაც მასზე დაიმედება — ყველაზე სწორი გადაწყვეტილებაა. სულ ერთია, რა დაგემართება: ავად გახდები, მეგობრები ზურგს გაქცევებ, ოჯახი ჩავარდება გასაჭირში, შიშმილობ თუ გცივა. უფლის იმედით მტკიცდება მოთმინება, მოთმინება კი, ასეა ნათქამი ბიბლიაში, ჩვენს გულებს უკეთეს ხდის, ასუფთავებს, სინათლითა და სიხარულით აჯებს.

იკითხავთ: საიდან მოვიტანოთ ასეთი იმედი? კვლავ მივმართოთ ბიბლიას (საიდან უნდა ვიცოდეთ ჩვენ ასეთი რამები, თუ არა ღვთის სიტყვიდან?). მოციქული პავლე წერს: „. . . გასაჭირითაც ვიქადით, რადგან ვიცით, რომ გასაჭირი შეიქმნა მოთმინებას, მოთმინება — სიმტკიცეს, სიმტკიცე — სასოებას, ხოლო სასოება არასოდეს გვიმტყუნებს, რადგან ღმერთის სიყვარული ჩაგვესახა გულებში სულიწმიდის მეშვეობით, რომელიც მოგვეცა ჩვენ“ (რომ. 5:3-5). გამოდის რომ ყველაფერი: მოთმინებაც, იმედიც, სიყვარულიც — უფლის, ჩვენი ღმერთის ნიჭებია! როცა ჩვენ მას მივიღებთ და ვირწმუნებთ, იგი გვაძლევს თავის სულს, მასთან ერთად კი — სიყვარულს. სწორედ ამისაგან, ჩვენში მცხოვრები ღმერთის სიყვარულისაგან — ყოველივე ჩვენს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი და მშვენიერია. მათ შორის მოთმინებაც.

მაგალითისათვის მე მხოლოდ იობი მოვიყვანე. თუმცა ჩვენ ბიბლიაში მომთმენი ადამიანების სხვა მაგალითებსაც ვპოულობთ. იოსებს, რომელიც საკუთარმა მქებმა გაყიდეს მონად გვგიპტეში; წინასწარმეტყველებს, რომლებსაც სდევნიდნენ იმის გამო, რომ ადამიანებს ღვთის სიტყვას გადასცემდნენ. მაგრამ უმთავრესი და განუმეორებელი მაგალითი — ჩვენი უფალი იესო ქრისტეა! მან, უმწიგვლომ, თავზე გამოსცადა ადამიანების სიძულვილი და ბოროტება. იგი ჯვარს აცვეს. მაგრამ მან ყველაფერი მოითმინა. რა აძლევდა მას მოთმინების ძალას? სწორია: სიყვარული. ღვთიური სიყვარული. რომ არ ყოფილიყო ჩვენი მხსნელი, ჩვენ არანაირი იმედი არ გვექნებოდა, არ გვექნებოდა მისი სიყვარული და არც მოთმინება. ასე კი, ყველაფრის გადატანა შეგვიძლია. ის ხომ ჩვენთან არის!

# ეკისაყოფილობ ბუნება

3. ၃.

- რა ბევრი ადამიანები მოგიღნენ დღეს სააკადმოუფლ-ში! - თქმული გალიომ.

- მართლაც! ამდენი ხალხი არ მინახია, - დაუთანხმა მას თავისი ძმა ჭალი.

- სწორია, - კვერი დაუკრა ტებბომაც, - ისინი იმიტომ მოვიდნენ, რომ ყვავილი ვრცელდება და უკვე რამდენიმე სოფელი მოიცავს. ადამიანებს ეშინიათ, ამიტომაც მოდიან ჩემთან დახმარებისათვის.

- არასოდეს მინახია ამდენი ხალხი, რომლებიც მუდამ რაღაცით არიან უკმაყოფილონი და საკუთარი თვეი ქბრალებათ, - შეიძლო ელიტაბეჭიმა.

ტექმირობ დაიწყო უკავიყოფილო ავადმყოფების გამოსახვა, ამ დროს ის იცვლიდა ხმასაც და სახის გამომეტყველება-საც: „რა ძალიან ცხელა!“ - „რა გაუსაძლისა ერთ ად-გილზე დგომა!“ - „ლირდა შხოლოდ აცრისთვის აქ მოს-კლა?“ - „ცუდად ვარ, რა უბედური ვარ“




ნახატი 3.

დაუდის, ექიმის თანაშემწევს, სიცილი წასკდა, შე-  
ეკადა მოხერხებულად მოწყობილიყო ბაობაბის ქვეშ:

- ბაჟშვებო, იმედი მაქვს, გამოიტანთ აქედან გა-  
კვეთილს. დაიძახსოვრეთ: ნიანგები ასობით ადამიანს  
კლავენ, ხოლო კოლოების ნ აქბენი ყოველწლიურად მილი-  
ონობით ადამიანს კლავს.

- რაო! - წამოიძახა დენძა და ხელისგული დაარტყა კო-  
ლოს, რომელიც ფეხზე დააჯდა.

- თუ თქვენ ცუდად იქცევით, ადამიანები კი თქვენს ირგვლივ ამბობენ, რომ ეს არცოუ ისე საშიშია, გახსოვ-დეთ, რომ მცირე დაუღვევრობებს დიდი შედეგები მოსდევს. ახლა კი გიამბობთ ისტორიას იმის შესახებ, თავს რა გა-დახდა ბუხუს.



ერთ-ერთ მხიან დღეს ანტილოპა  
დი-გ-დიკმა ჰყითხა ურალუ ტევიგუს: „რა-  
ტომ დადის ბუჩქ ხშირად გარტო?“ ამ  
დროს ჰაპოლტამა ბუჩქ უახლოვდებო-  
და მათ.

აფალშემოულრი გამომეტყველება ჰქონდა.  
„ის ფლობს საოცარ უნარს განწყო-  
ბილება გაუფუჭოს საკუთარ თავსაც  
და გარშემო მყოფებსაც. კარგად და-  
აკვირდი და მოუსმინე, თავად გაიგებ,

რაც მაქეს მხედველობაში, „ უპასუხა  
ჟირაფება. ბუხუ შეუერთდა დანარჩენ  
ცხოველებს, რომლებიც ბაობაბის  
ჩრდილებეში იდგნენ. „ოჰ, - ამოიკენესა  
მან - რა ძალიან ცხელა დღეს!



კანი მეტვება! საშინელება!“ ანტილოპა დიკ-დიკა შენიშნა, რომ ბუქეუს ხახის ნაპირები მომჩერაული ჰქონდა. მარტო ფარუქ ხმამაღლა დაიღმუკვდა პასუხად, ხოლო მაიმუნმა ტოტომ ჩა-

ინთენდოა. „მე ძალიან მოწყვლადი გარ,  
- ჩაიბურტყენა ბეჭედ. - თქვენ რა?...“  
- „შეწყვატე თავის შებრალება, - აღ-  
შეფოთდა ფარუ. - მარტო საკუთარ თავზე  
ნუ ფიქრობ და ნუ ლაპარაკობ. უგეოთსია


თუ საერთოდ არაფერს იტყვი.“ შეცბუნებულმა ბუხუმ თავი გააქნია და კვლავ ამოიოხხა: „რა გესმის შეწ... რა გაგდება?“ ფარუ წამოჭარხლდა სიბრაზისგან.




მისი რქა აეისმომასწვებლად აიწია მაღლა: „უკეთესია წანგვიდე შენს ტბორში და ჩაწევ, აუტანელო პიპოპოტამო!“ ფარუ შებრუნდა და წაფიდა, თუმცა განაგრძობდა ბურტყუნს.



ბუხუმ სევდიანად გააღვენა თვალი. „ჰმ, თქვენ მაინც გესმით, რა მაქეს მხედველობაში? მისი მხრიდან ეს ძალიან არამეტობრული საქციელი იყო, - პიპოპოტამმა სული მოითქვა და განაგრძო:



- მე ხომ გულისხმიერი ვარ და ყოველთვის მზად ვარ ყველას დასახმარებლად. ყოველთვის!“ - „წვიდეთ,“ - უთხრა მას ტვიგამ, როცა დანარჩენმა ცხოველებმა წასვლა დაიწყეს. ისინი ჩუმად მიუიღნენ




ხშირ ეკლიან ბუხქართონ. ბუხუმ კვლავ სევდიანად თქვა: „რატომ ხართ ყველანი ჩუმად? მე ხომ ძალიან ვცდილობ ვიყო გულდაია...“ აქ მაიმუნმა კვლავ ჩაიხითათ: „კარგია, რომ ფარუ ჩვენთან



არ არის! მას არ უყვარს ეს ეკლიანი ადგილი.“ - „სულელო მაიმუნო, რატომ მაწვეტინებ? მაიმუნებს მხოლოდ უნდა უყურო, მაგრამ არ უნდა უსმიონ... ჰმ... რა თქვი? საშინელი მცენარეა! ამ



ეკლიანი ბუხქარის ატანა არა მაქეს. “ზებრა პოკიმ, ფეხები დააბაკუნა და გაბმულად დაიყვარა „ი-ა-ა!“ შემდგა ნელა განაგრძო გზა.



„რა უნდა ვთქვა, - დაღონდა ბუხუ. - ეს არის ურთიერთობა? შეიძლება მაიმუნები მართლაც ასეთები არიან. მაგრამ, ჩემის აზრით გაცილებით სასატერეს იქნება, თუ ვისაუბრებთ. თქვენ რას იტყვით?“



დიკ-დიგს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ტვიგამ ანიშნა და ისიც გაჩუმდა. ტვიგამ იციდა, რომ პიპოპოტამები კითხვებს სვამენ, მაგრამ პასუხებს არ ელოდებიან. ბუხუ კი განაგრძობდა ლა-



პარაგას: „პოკის ცხადია არა აქეს პიპობლება ეკლიან ბუხქართან დაკავშირებით, როგორც მე.“ ტოტო აცოცდა ტვიგას გრძელ კისერზე და წარმოთქვა:



„საშინელება იქნებოდა, ბუხუ უირაფი რომ იყოს!“ ტვიგას გაედიძა. პიპოპოტამმა კვლავ ამოიხვეშა: „თქვენ არ გეჩვენებათ, რომ ჯენგლების ამ ნაწილში მოწყენილობაა? მე ძალიან მიყვარს



ყვავილები და ამისი მსგავსი რაღაცები...“ ის თავის ქნევას მოჰყვა და ნელ-ნელა განაგრძობდა სელას. მაღლე ცხოველები მივიღნენ ადგილზე, სადაც მდინარე ბორცვიდან ეშვებოდა.



მათ წინ გადაშლილი იყო ჩრდილოვანი ბაობაბები. ხეები ყვავილებით დაფარულიყო. - „შეხედე, - თქვა ტვიგამ, - ამ ყოველოვემ უნდა გაგამხიარეოს შენ!“



ბუხუს სახე დაემანჭა და თავი ასწია: „ოჰ, ტვიგა, არ მომწონს მე ეს ყვითელი ყვავილები. მათ გამო სულ მაცემინებს. ცხვირი გაჭედილი მაქვს, მძიმედ ვსუნთქავ. მოკლედ ატანა არა მაქვს.




ჰიპოპოტამი გაჩუმდა. მისმა ნესტოებმა მართლაც დაიწყო მაღლა-დაბლა თამაში - ახლა დააცემინებს! ტოტო ჩამოხტა ჟირაფის ზურგიდან, მიირბინა ბუხუსთან და თათი მიაფარა ნესტოებზე. შე-



იქ მას ბუხუსგან მომდინარე უცნაური ხები და ტოტოს სიცილი მოესმა. „ის რა, ახლა დააცემინებს?“ ტვიგამ თავი დაიქნა: „ჰო, და ის უკმაყოფილო დარჩება, თუ ვერ დააცემინებს. ასეთ-



ბუხუ მოიღუნა და თავი ასწია: „ოჰ, ტვიგა, არ მომწონს მე ეს ყვითელი ყვავილები. ახლოს რომ ვარ მათთან სულ მაცემინებს. ცხვირი გაჭედილი მაქვს, მძიმედ ვსუნთქავ. მოკლედ ატანა



გარდა მაგისა... თუმცა, თქვენ რა გესმით ამისი?“ ამ დროს ხებს შორის გაირბინა სასიამოვნო გრილმა ნიავმა. „როგორ გამომაცოცხლებს ხოლმე ასეთი ნიავი! - ნეტარებით წარმოთქვა ტვიგამ. „ჰო,



ეცადე რომ არ დააცემინო! მე დაგეხმარები. „არა, არ შემიძლია! - წმომიახა ბუხუმ. - ა-ა-ა...“ ტოტომ კიდევ უფრო მეტად მიაჭირა თათი ბუხუს ნესტოებს. ტვიგამ იჩქარა მორიდება, დიკ-დიკსაც



გამოგაცოცხლებს, აბა რა, - კვლავ უკმაყოფილება გამოხატა ბუხუმ, - მას ჟველგან მიაქვე მტევრი, რომელიც ნესტოებში მეჭდება. სწორედ ამის გამო მაცემინებს და მაცემინებს...“



დაუყვირა: „ჭიანჭველების ბუდეს მოეფარე! ახლა ბუხუმ რომ დააცემინოს, გაგაფრიალებს სადმე!“ დიკ-დიკი მაშინევ გაიქცა დასამალად.



ბი არიან ჰიპოპოტამები!“ ბუხუ დაიგრიხა და პირი გააღო. მისი ნესტოები ცახცახებდა. ჯუნგლებში წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა. „ა-ა-ა-ფუცხი!“ მაიმუნი ჰერში გაფრინდა. ფრენისას მოასწრო



და მოეჭიდა ჟირაფის ღონიერ კისერს. ჟველა ბუხუს უყურებდა, რომელიც გაბოტილი იდგა. „აი, ისევ აპირებს...“ ბუხუმ მართლაც დააცემინა მეორეჯერ.



არ მაქვს. ამასთან ერთად... თუმცა, თქვენ რა გესმით ამისი.“ ხებს შორის გრილმა ნიავმა გაირბინა. „როგორ გამომაცოცხლებს ხოლმე ასეთი ნიავი!“ - ნეტარებით შენიშნა ტვიგამ. „ჰო, ჰო,



გამოგაცოცხლებს, - ისევ უკმაყოფილოდ წაიბურტყუნა ბუხუმ, - სწორედ მაგას მიაქვე ჟველგან მტევრი, რომელიც ჩემს ნესტოებში ხვდება. ამიტომაც სულ მაცემინებს და მაცემინებს, აი ახლაც.“



„გაეს ჩვენ რაიმე იდეები?“ - აღელვებულმა იკითხა დიკ-დიკმა, და თან ჭანჭველების ბედეზე ხტოდა. უცებ ფეხი დაუსხლოტა, დაეცა და მდინარისაკენ დაცურდა.



ამავე მომენტში ცოტა მოშორებით მდინარეში უხმაუროდ შეცურდნენ ნიანგები. ტვიგამ მიირბინა ნაპირთან და დაიყვირა: „ბუხუ! ჰეი ბიჭო, სად ხარ!“




უირაფი შიშით მისხვებოდა დიკ-დიკს, რომელიც მთელი ძალით ებრძოდა მდინარის დინებას. პირობოტამი შებრუნდა უირაფისკენ და ამოიბურტყუნა: „რაო, რა მოხდა?“



ტვიგა გაექანა მისკენ: „დიკ-დიკი წყალში ჩაფრდა!“ - „ჰო, მაგრამ მან ხომ იცის ცურვა. ჩვენთვის რომ ვთქვათ გველამ უნდა იცოდეს ცურვა.“ - „ჰო იცის, მაგრამ ისე კარგად არა, როგორც



ნიანგებმა! ისინი კი იქ სამი არაია!“ - „ისინი მას არ შეეხებიან, თუ იქვე ვიქნები.“ - „ჰო მაგრამ ხომ არ ხარ იქვე!“ - „ჰო, ჰო, მართლაც... ახლავე,“ - თქვა ბუხუმ და გაეშურა ანტილოპასკენ.




მისი მოკლე ფეხები თანდათან უფრო სწრაფად მოძრაობდა. ის გარბოლა აფევებული ხეების შორიახლოს, თან აცემინებდა. თუმცა არ გაჩრებულა, პირდაპირ მდინარისაკენ მიემართებოდა.



ბოლოს, როგორც იქნა შევარდდა მდინარეში და საოცრად მსუბუქად მიცურდა დიკ-დიკთან და იქვე შორიახლოს მყოფ ნიანგებან. გაბრწყინებული თვალებით თქვა: „მე აქ ვარ დიკ-დიკ! ხედავ, თუვ-



ზოით ვცურავ.“ შემდეგ, მიუბრუნდა ნიანგებს და დაამატა: „თქვენ კი, ნიანგებო, წადით აქედან საღმე შორს! თუ არა და მომიწვეს თქვენი ქიბნა! დედაჩემმა ერთხელაც უკბინა ნიანგს და



ეს მისთვის დასასრული იყო!“ ბუხუმ შემთატრიალა თუ და დაინახა, რომ დიკ-დიკი კვლავაც ებრძოდა ძლიერ დინებას. „შენ ხომ არაფერი გიჭირს? - ჰითხა მან. - ხედავ, რა კარგად და




სწრაფად ვცურავ. სულ მავიწყდება ხოლმე, რომ მე შესანიშნავად ვცურავ!“ ამ დროს კი ერთი ნიანგი, რომელიც განსაკუთრებით ბოროტი და სახიფათო იყო, ძალიან მიუახლოვდა დიკ-დიკს.



შეშინებული დიკ-დიკი მიეკრა ბუხუს, ძალაგამოცლილია იქნევდა ფეხებს. ბუხუმ რომ დაინახა ეს, გახსნა ხახა და დაიღრიალა, რითაც ძალიან შეაშინა ნიანგი. მეორე ნიანგმა ჩავინთა,



რომ უხმაუროდ გაეცურა ბუხუს ქვეშ. დიკ-დიკმა იგრძნო საფრთხე და დაიყვირა: „მიშველე!“ ბუხუ გაიმართა წყალში.



მის ქვეშ უცნაური ხმები გაისმა. პიპოკოტამი კმაყოფილი დარჩა საკუთარი თავით: „სულელი ნიანგა! უნდოდა ჩემს ქვეშ გაეცურა! მე ის კარგად გავაპანდურ! მგრინი ძალიან არ მოწინა ეს.

პიპოკოტამებს ეს კარგად გამოსდით.“ და ბუხუმ ნაპირისაკენ გამოსცურა. „ჩემს გვერდით იყავი, - ურჩია ანტილოპას - ჩენ ახლა უკვე აღარ გვემუქრება საფრთხე. მალე გაფალთ ნა-

პირზე, მალე იგრძნობ ფეხქვეშ მიწას“ მართლაც, დიკ-დიგმა როგორც იქნა გამოაღწია ნაპირამდე. „ძვირფას და ჰეთილო ბუხუ!“ - ერთდროულად წამოიძახეს ტვიგიგამ, ტოტომ და პოკიმ.



„რასია საქმე? - იკითხა ბუხუ. - დიკ-დიკი ხომ კარგად არის?!“ ანტილოპამ ჩილიქები დაალაგა ბუხუს დიდონ ფეხებზე, ჩახედა თვალებში და უთხრა: „დიდი მაღლიობა, ძვირფასო

ბუხუ!“ - დიკ-დიკმა თავისი მაღლიერება გამოხატა პიპოკოტამის მიმართ. გულებუყებულმა ბუხუმ თვალები დაახამძამა, მისი დიდი პირის უპეები ცოტათი უკან გაიწია. „რა სათქმელია დიკ-დიკ,

რა გავაკეთე, ეს ხომ წვრილმანებია! - წარმოიქცა პიპოკოტამმა და გაოცებით დაამატა: - შეამჩნიეთ მეგობრები, რომ ჩემი ნესტოები აღარ არის დაცული? ასე ხომ გაცილებით უკეთესია!“

დაუდი, - თქვა მგოგომ, - ჩვენ ვიცით, რომ ვვავილის განკურნება შესაძლებელია. თუ არის შენს ისტორიებში რაიმე საკუთარი თავის სიბრალულის საწინააღმდეგო წამლის შესახებ?

გულუშ ინტერესიანი შევრით წამოიწია ურიკაზე.

- ახლობლების დახმარების დროს, შეიძლება ასევე საკუთარი თავის მიმართ სიბრალულისაგან განკურნება, - უპასუხა დაუდიმ.

ლისო შექო დაუდის სახელოზე:

- ეს მართლაც კარგი წამალია! მოდით გავამხნევოთ ახლობლები, ნაცვლად იმისა, რომ მუდამ ებრალებოდეთ საკუთარი თავი.


ამ მომენტში დაუდისთან საავადმყოფოდან გამოგზავნილი მაცნე მოვიდა.

- უკვე მოვდივარ, - თქვა დაუდიმ.

მგოგომ წამოიწია გასაცილებლად.

- დაუდი მაღლიობა დღევანდელი, ჭეუისსასწავლი ისტორიისათვის, - თქვა მან დამშვიდობებისას.

- კარგია, რომ შენ გაიგე ეს! - გაუხარდა დაუდის. - გახსოვდეს, ღმერთი არასოდეს დაუშვებს, რომ მისი შვილები უმიზეზოდ იტანჯებოდნენ. ღმერთს ყველაფერზე აქვს გეგმა. საზრუნავებს, სირთულეებსა და ტკიფილსაც კი შესაძლოა სხვადასხვა შედეგები ჰქონდეს: ან ჩვენი გული ქვედება, ან სულიერად უფრო ძლიერები ვხდებით.



ნახატი ი. პ.

# 17. მისამართებელი

ნიკას ძალიან უყვარდა პაპის, ყოფილი მეზღვაურის მიერ, მოყოლილი ამბები. პაპა საინტერესოდ ყვებოდა არა მხოლოდ თავის თავგადასავლებს, რომელიც საკმაოდ პქონდა, არამედ სხვა ამბებსაც. მან ბევრი რამ იცოდა ზღვებზე მოგზაურების ისტორიიდანაც. ნიკამ პაპისაგან გაიგო, როგორ აღმოაჩინა კოლუმბმა ამერიკა და როგორ გაიკვალა საზღვაო გზა უვროპიდან ინდოეთში.

— იცი, საბოლოოდ ვინ დაამტკიცა, რომ დედამიწა სფეროა და რომ არსებობს ერთანი მსოფლიო ოკეანე? — შვილიშვილის თხოვნით დაიწყო თავისი მომდევნო ამბის მოყოლა პაპამ. — მაგელანის ექსპედიციამ. 1519 წლის 20 სექტემბერს ხუთი ხომალდი გავიდა ზღვაში ესპანეთის პორტიდან, რომელსაც სანლუკარ-დე-ბარრამედა ერქვა. როცა სამხრეთ ამერიკას მიაღწიეს, ისინი შეჩერდნენ გამოსახამორებლად. მომდევნო წლის მაისში განაგრძეს გზა. მალე ერთ-ერთი ხომალდი შტორმის შედეგად ჩაიძირა, მეორე მეზღვაურების ამბოხის შემდეგ დაბრუნდა ესპანეთში.

როცა დარჩენილმა სამმა ხომალდმა გაიარა სრუტე, რომელსაც მოგვიანებით მაგელანის სახელი უწოდეს, მოგზაურების წინ გადაიშალა ოკეანე, რომელიც არ იყო აღნიშნული რუკაზე. მათ ამ ოკეანეს წყნარი უწოდეს. 1521 წლის მარტში მაგელანის ფლოტილიამ მიაღწია ფილიპინების კუნძულებს. ადგილობრივ მცხოვრებლებთან დაპირისპირების შედეგად, სხვებთან ერთად დაიღუპა კაპიტანი, ფერნან მაგელანიც.

ესპანელებს არ ჰყავდათ საკმარისი ხალხი, რომ სამი გემით ეცურათ და გზა ორი გემითდა განაგრძეს. როცა მიაღწიეს მალაიზიის არქიპელაგს, დაიტვირთნენ ძვირფასი ტვირთით და განაგრძეს გზა. თუმცა ორიდან ერთ-ერთი გემი პორტუგალიელებმა ჩაიგდეს ხელთ. ესპანეთში (ინდოეთის ოკეანის გავლით, აფრიკის შემოვლით) მხოლოდ ერთი გემი „ვიქტორია-და“ დაბრუნდა, 18 კაციანი ეკიპაჟით. ამგვარად დასრულდა პირველი მოგზაურობა დედამიწის გარშემო, რომელიც ორი წელი, თერთმეტი თვე და ორი კვირა გრძელდებოდა. ეს მოხდა 1522 წლის 6 სექტემბერს.

— პაპა, რომელი ძვირფასი ტვირთისთვის მიცურავდნენ ესპანელები ასე შორს?

— შავი პილპილისთვის. მათ თითქმის 26 ტონა სუნელები ჩამოიტანეს.

— როგორი საინტერესო ისტორიაა! — აღელვებით წარმოთქვა ნიკამ. — ვერასოდეს ვითიქრებდი, რომ პილპილის გულისათვის ადამიანები ასეთ მოგზაურობაში წავიდოდნენ!

— იმ დროს სუნელები სიმდიდრის სიმბოლო იყო. იმ დროის მდიდარ ვაჭრებს „პილპილის ტომრებს“ უწოდებდნენ. ისინი რისკავდნენ სიცოცხლეს, რომ მიეღონ იმ ადგილებისთვის, სადაც პილპილი იზრდებოდა. ოდესადაც პორტუგალიელებმა, რომლებმაც საშმობლოში ჩამოიტანეს შავი პილპილი და სხვა სუნელები, უცებ გაამდიდრეს თავიანთი ქვეყანა, — დაამთავრა თავისი ამბავი პაპამ.

შავი პილპილი - არის მცენარე პილპილისებრთა ოჯახიდან, რომელიც მოჰყავთ ტროპიკულ სარტყელებში. მცენარე წარმოადგენს განსაკუთრებული სახის ბუჩქს, რომლის რტოებიც ძალიან მაღალ ხეზეც კი ადის.

ნახატი ა. ვ.




# შავი ჰუსტონი

შავი პილპილი იზრდება ინდოეთში, ინდონეზიაში, ბრაზილიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. მას იყენებენ დაფქვილს ანდა მარცვლების სახით. შავი პილპილი მიიღება გამშრალი მოუმწიფებელი ნაყოფებისგან. მთლიანად მომწიფებული ნაყოფებისგან იღებენ ოთრო პილპილს, რომელსაც უფრო ძლიერი სურნელი და დახვრწილი გემო აქვს.

## პილპილის ისტორიიდან

შავი პილპილი-ყველაზე ძველი სურნელია დედამიწაზე. პირველად ის ნახსენებია ინდოურ ლიტერატურაში, რომელიც დაწერილია სანსკრიტზე 3000 წელზე მეტი წნის წინ. ამ მცენარის სამშობლო მაღაბარის კუნძულებია, რომლებიც ინდოეთის სანაპიროს სამხრეთდასავლეთ მხარეს მდებარეობს.



ევროპელებმა პილპილის შესახებ ჯერ კიდევ ანტიკურ დროს იცოდნენ. ასე მაგალითად, ბერძენი ექიმი პიონრატე ახსენებს მას ძვ.წ. 400 წელს. საუკუნეების მანძილზე შავ პილპილს ოქროს ფასი ჰქონდა: მისით იხდიდნენ გადასახადებსა და მსხვილი შენაძენების ფასს. იატაკზე დაგარდნილ პილპილის მარცვალს ისევე ეძებდნენ, როგორც მარგალიტს.

პილპილით უხდიდნენ ხარჯს დამპყრობლებს. მაგალითად, პუნების ბელადი ატილა პილპილს ითხოვდა ხარკად დამორჩილებული ხალხებისგან. XIX საუკუნის დასაწყისში „შავი ოქროთი“ ვაჭრობის საქმეში მთავრი როლის თამაში დაიწყო ამერიკაში.

ე. ც.

შავი პილპილის მოსავლის აღება. ილუსტრაცია წიგნიდან „მარჯო პოლოს მოგზაურობა“, 1410 წ.

აცტეკების შოკოლადის სასმელი აუცილებლად მოიცავდა სურნელოვანი პილპილის მარცვლებს.

გვიპტეში  
გათხრების დროს  
შავი პილპილის  
მარცვლები იქნა  
აღმოჩენილი რამზეს  
II-ს (ძვ.წ. 1213 წ.)  
სამარხში.

მათ  
იყენებდნენ  
ფარაონის  
მუმიფიკა-  
ციისათვის.




შავი პილპილი — არა მხოლოდ უნივერსალური სურნელია, არამედ პროგრესის მამოძრავებელიც. სწორედ შავი პილპილის გამო გაემზავრა ქრისტოფერ კოლუმბი ინდოეთში, რაც გახდა დასაწყისი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისა.

## საინტერესო ფაქტები

კარვი ხარისხის შავი პილპილის ათასი მარცვალი ზუსტად 460 გ. უნდა იწონიდეს. ამიტომაც ანტიკური აფთიაქარები შავი პილპილის მარცვლებს

იყენებდნენ  
წამლების  
შემაღენელი  
ინგრედიენტების  
ზუსტი  
წონისათვის.



# 22. ლილ და მერილის თუ ლილ მოწვევების

„მე მწამს, რომ ღმერთი ყოველგვარი უბე-  
დურების დროს წინააღმდეგობის იმდენ ძალას  
გვაძლევს, რამდენიც სა-  
ჭიროა. თუმცა ის არ  
გვაძლევს ამ ძალას წი-  
ნასწარ, რათა საკუთარ  
თავს კი არა, არამედ მას  
ვერდნობოდეთ“ — ეს  
სიტყვები დაწერილია ციხე-  
ში სირენებისა და ბომბების  
გრუზუნის დროს ფაშისტურ  
გერმანიაში. ამ სიტყვებს ხუ-  
ცესი დიტრიხ ბონკოფერი  
წერდა. ის იყო ახალგაზრდა,  
ნიჭიერი დვთისმეტყველი,  
რომელმაც 24 წლისამ დაიც-  
ვა სადოქტორო დისერტაცია  
და მიიღო პრესტიჟული მი-  
წვევა ესწავლებინა ბერლი-  
ნის უნივერსიტეტში. ხელისუფლებაში ჰიტლერის  
მოსვლის შემდეგ იგი გახდა ერთ-ერთი ინიციატორი  
იატაკქვეშა აღმსარებელი ეკლესიის შექმნისა, რო-  
მელმაც უარი თქვა ფიურირის სურათების გა-  
მოფენაზე, ებრაელთა არასრულფასოვნებისა  
და არიული რასის უპირატესობის აღიარე-  
ბაზე.

„ყველა დაემორჩილოს უმაღლეს  
ხელმწიფებას. რადგან არ არსებობს  
ხელმწიფება, თუ არა ღმერთისაგან,“  
- კვლავ და კვლავ კითხულობდა  
დიტრიხი მოც. პავლეს სიტყვებს  
და ფიქრობდა: - სად გადის ამ  
მორჩილების საზღვარი? რატომ  
არ დაემორჩილა პეტრე სინედრი-  
ონის დადგენილებას, რომელმაც  
აუკრძალა ქრისტეს ქადაგება?  
შეგვიძლია ჩვენ შევეწინააღ-  
მდეგოთ ჰიტლერს, ნამდვილ

ანტიქრისტეს? იქნებ დასრულდა დრო დუმილისა და  
დადგა დრო მოქმედებისა.“




და დიტრიხმა დაიწყო ქადა-  
გება, სემინარების ჩატარება,  
ლექციების კითხვა. ის მოუ-  
წოდებდა ქრისტიანებს არ წა-  
სულიყვნენ ხელისუფლებასთან  
მოლაპარაკებაზე და დაეტოვე-  
ბინათ ოფიციალური ეკლესია,  
რომელიც სრულად დაემორჩი-  
ლა ჰიტლერს. 1935 წელს მას აუკრძალეს უნივერსიტეტში  
სწავლება, და რამდენიმე წლის  
მანძილზე ის მცირე იატაკქვე-  
შა სემინარის ხელმძღვანელი  
იყო, 1943 წელს კი დააპატიმ-  
რეს და თავის სიკვდილამდე  
ხან ციხეში იყო, ხანაც საკო-  
ცენტრაციო ბანაკებში.

ზოგინი ზოგინ მოსრავლებთან. 1932 წ.



1945 წლის, კვირა დღეს პატიმრებმა, რომლებიც ბონჭოფერთან ერთად ისხდნენ საკანძი, სთხოვეს ჩაეტარებინა და გადასახათ და რომ ეს შესაძლოა მისი ბოლო ქადაგება ყოფილიყო, მაგრამ ის ადგა, ითხოვა სიჩუმე და მშვიდად გახსნა თავისი ბიბლია. ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე დიტრიხი ერთი ციხიდან მეორეში გადაჰყავდათ, თითქმის ყოველდღე დაპყავდათ დაკითხვებზე, ვინაიდან პიტლერზე წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ გესტაპოელებს ხელში ჩაუვარდათ დოკუმენტები, რომლებიც მოწმობდნენ იმის შესახებ, რომ დიტრიხიც თანაუგრძნობდა თავდასხმას. თუმცა ახალგაზრდა ხუცესს მაინცდამაინც არ



ფლოსენზურგის საკონცენტრაციო  
განაკი. 1945 წ.



ეშინოდა გამომძიებელთა ყეირილისა და მუქარისა. ციხეში გატარებული წლების შემდეგ ის მიეჩვია სიჩუმეს და ქრისტესთან განმარტოებას. იგი გრძნობდა სიკვდილის მრავლობას და უკანასკნელი თვეების მანძილზე მისი ძირითადი საზრუნავი ქრისტეზე დამოწმება იყო.

„მე მუდამ მაღლვებს კითხვა იმის შესახებ, თუ რა არის დღეს ჩვენთვის ქრისტიანობა და ვინ არის ქრისტე? დიდი ხანია წარსულს ჩაპარდა ის დრო, როცა ადამიანებისათვის ყველაფრის გადაცემა შეიძლებოდა სიტყვებით. დგება დრო, როცა მხოლოდ საკუთარი სიცოცხლით შეგვიძლია ვაჩვენოთ ქრისტე. როგორ შეიძლება ქრისტე უფალი გახდეს არარელიგიური ადამიანებისათვისაც?“ — ფიქრობდა ბონჭოფერი. აპრილის იმ დილით, თავისი უკანასკნელი და გადასახურების დროს სიკვდილის ბანაკში, დიტრიხი წინასწარმეტყველ ესაიას წიგნიდან კითხულობდა მომავალ ქრისტეზე და ისე მგზნებარედ ქადაგებდა, რომ პატიმრები სულგანაბულები უსმენდნენ. მეორე დღეს, 9 აპრილს, ომის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე, დიტრიხი გაყვანეს დასასჯელად.


ფლოსენზურგის საკონცენტრაციო ბანაკის ექიმმა ჩაიწერა თავისი შთაბეჭდილებები დიტრიხის ბოლო წუთების შესახებ: „ნახევრად გახსნილი კარის იქით მე ვხედავდი მუხლებზე მდგომ ხუცეს ბონჭოფერს, ვინც მხურვალე ლოცვას აღავლენდა დმერთის მიმართ. ამ ძალიან სიმპათიური ადამიანის ამგარმა ლოცვამ შემძრა. თავად სასჯელის აღსრულების აღგილზე კი, მოკლე ლოცვის წარმოქმის შემდეგ, ის გაბედულად ავიდა სახრჩობელის კიბეებზე... მთელი ჩემი 50 წლიანი საექიმო საქმიანობის მანძილზე არ მინახა ადამიანი, რომელიც დმერთისადმი ასეთი დიდი ერთგულებით კვდებოდა.“

დიტრიხ ბონჭოფერმა იცოდა მოჩილება, თუმცა ისიც იცოდა, სად თავდება ეს მორჩილება. თუ ხელისუფლება ერუვა ეკლესის საქმეებში ანდა აშკარა ბოროტებას სხადის, ქრისტიანის გულია — შეწინააღმდეგოს მას, წერდა ის თავის წიგნებში, და დამტკიცა ეს თავისი სიცოცხლით.



პეტერ მარტინი


გამოსვლა, 2-40 თავი (XV ან XIII საუკუნე ქრისტემდე)



ათი მცნება  
დაწერილი იყო ქვის  
დაფეხზე, რომლებიც  
ინახებოდა აღთქმის  
კიდობანში. იპოვე ის.



იპოვე სასანთლე,  
რომელიც დგას  
საკრებულო კარავში.  
რამდენი ტოტი აქვს  
მას?



იპოვე ორი მღვდელი,  
რომლებიც 12 ქურს  
დებენ ტაბლაზე




მღვდელმთავარი  
მკერძება ატარებდა  
სამკერდულს  
თორემტი ძვირფასი  
თვლით,  
ისრაელის  
თორმეტი  
ტომის რიცხვის  
მიხედვით.  
იპოვე ის.

# მოსე და ათი მსნება

მოსე ისრაელიანი ხალხის შვილი იყო.  
თუმცა მალევე დაბადების შემდეგ ის  
იშვილა ეგვიპტის დედოფალმა. როცა მოსე  
გაიზარდა, გახდა ისრაელის წინამძღოლი,  
გაათვისუფლა თავისი ხალხი მონობიდან  
და გამოიყვანა ეგვიპტიდან ქანაანში.

ისრაელიანებს სწამდათ, რომ ეს მიწა  
ღმერთმა აღუთქვა მათ აბრაამის დროიდან.  
მათ მრავალი წელი გაატარეს ეგვიპტესა  
და ქანაანს შორის არსებულ უდაბნოში.  
იქ, უფალმა, მისცა მოსეს ათი მცნება და  
დაავალა აეგო კარავი აღთქმის კიდობნისა  
და მოწმობის დაფეხის დასაცავად.



მღვდლები ატარებდნენ  
სელის სამოსელსა და  
თვისაბურველებს.

იპოვე 11 მღვდელი



საწმიდარში მსახურების  
წინ მღვდლები იბანდენენ  
ხელებსა და ფეხებს  
ბრინჯაოს საბანელში.  
ხედავ მას?




იპოვე გველი


მცირე  
სამსხვერპლოზე  
აკმევდნენ  
საკმეველს.  
ხედავ მას?



იპოვე დიდი  
სამსხვერპლო,  
რომელზედაც  
წვავდნენ  
შესაწირავებს.



იპოვე 6 ურემი.



რამდენი სვეტია  
კარაჟში შესასვლელის  
წინ?



იპოვე ბიჭი,  
რომელსაც  
ბატქანი მიჰყავს  
მხრებით.



იპოვე ორი ქალი,  
რომლებიც კიცენ  
ქსოვილს.



აღმოაჩენ თუ  
ვერა, მწყრების  
გუნდს?



იპოვე სამი  
მოჩხუბარი  
კაცი.



ნახატი პ. კ.



იპოვე ორი მღვდელი  
ვერცხლის საყვირებით  
საყვირებს ხმარობდნენ  
ხალხს შეკრუბისათვის.



ხედავ ორ კაცს,  
რომლებსაც კუტით  
მიაქვთ კურძნის მტკვანი.



იპოვე სამი ქალი,  
რომლებსაც დოქებით  
წყალი მიაქვთ.



# 305 310 312

ე. ც.

არ ვიცი, რომელიმე თქვენგანი შეძლებს თუ არა გამოიცნოს, ვინ ვარ მე! ალბათ მხოლოდ ის შესძლებს, ვინც ყოფილა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზის ტროპიკულ ტყეებში ანდა შორიახლოს მდებარე კუნძულებზე და ვუნაზივარ მე. ან ის, ვინც ყურადღება მომაქცია ზოოპარკში. ახლა ჩვენგან მხოლოდ ორი სახეობაღა დარჩა, დანარჩენი რამდენიმე სახეობა სამწუხაოდ, გადაშენდა. ნიადაგში შემორჩენილი ნაშთები მოწმობს იმას, რომ ჩვენ ყოველთვის ვიყფით ისინი, რადაც შეგვმნა შემოქმედმა.

მივეკუთვნები მერქნის ძუძუმწოვრების რიგს; ვარ კატის ზომის. მე განმასხვევებს ფართო, ბეჭვით დაფარული აპკი, რომელიც იწყება კისერთან და მთავრდება კუდის ბოლოს, და რომელიც აერთუბს ყველა კიდურს. თბა, რომელიც ფარავს აპკს, ასევე მთელ სხეულს, რბილი და ხშირია. მრავალფეროვნება შეფერილობაში და ბეჭვის ფერი, საშუალებას მაძლვეს კარგად შევინილბო, პრაქტიკულად შევერწყა ხეგბის ქერქს. წინა და უკანა კიდურები გრძელი და თხელი მაქს, ასევე კუდიც.

მე — ღამის ცხოველი ვარ. მთელ დღეს ვატარებ ხის ლიობში ანდა ფუდურომი, მიწიდან 25-50 მეტრის სიმაღლეზე, ხოლო ქოქოსის პლანტაციაში ვგორგლდები ბურთის მსგავსად ანდა ვეკიდები პალმის რტოებთან ერთად, ყველა თათით ჩაჭიდებული, ზარმაცას მსგავსად. ამისი გაკეთება შემიძლია ბასრი, მოკაუჭებული ბრჭყალების დახმარებით. სიბნელის დადგომასთან ერთად მე აქტიური ვხდები. საკვების ძიებაში, ავდივარ ხის წვერზე და შემდეგ ვაკეთებ უხმაურო

შფრინავი თაგვი

ნახტომს. არა მე არ შემიძლია ფრენა! მაგრამ აპკის დახმარებით შემიძლია გრძელი ნახტომების გაცეთება, თითქოსდა ერთი ხიდან მეორეზე გადაფრინდები ხოლმე. ამ „გადაფრენაში“ მთელი ჩემი სხეული მეტარება, ვშლი თაუბს, ვასწორებ კუდს. ჩემი „ფრთების“ გაშლილობა შეადგენს 70-120 სმ-ს. პლანირების მაქსიმალური სიშორე დაახლოებით 140 მეტრია. აპკის მდგომარეობის შეცვლით შემიძლია ფრენის მიმართულების ცვლა. სხეათა შორის, მე ჩემპიონი გარ ყველა „ფრენის“ უნარის მქონე ძუძუმწოვრებს შორის!

ხესთან მიფრენისას, ვჭიროვ სხეულის უკანა ნაწილს, ვიღებ ვერტიკალურ მდგომარეობას და ოთხვე თათით ვეჭიდები ხეს. ვიკვებები მხოლოდ მცენარეული საკვებით ფოთლებით, კვირტებითა და ხის ნაყოფებით.

ჩვენ გვიჩნდება ერთი, იშვიათად ორი - პატარა. დაბადებისას ისინი ძალიან მცირე ზომისები არიან (სულ 35 გრამს იწონიან); არიან შეშელები და ბრძები. დედა თავის პატარას რძით ზრდის, და ყველგან დაატარებს. პატარა დიდ ხანს, თითქმის მოზრდილობის ასაკამდე, თავს არ ანებებს დედას.

აბა როგორ არის საქმე? გამოიცანი? მას ვისაც არაფერი სმენია ჩემზე და არც ზოოპარკში ვუნახივარ, ვეტერი, რომ მე მქვია იყდებო, ანუ ლათინურად (Dermoptera).

ნახატი ნ. ჟ.

შფრინავი  
ხვლიკი

პოსუმი

კაგუანი

**ყველაზე სწრაფი ფრინველი** - შევარდენი საპასანია. სხვა ფრინველზე ნადირობისას ანდა თვეისი ტერიტორიის დაცვისას, მას შეუძლია განავითაროს 200 კმ-მდე სიჩქარე საათში.



**ყველაზე სწრაფ ჰორიზონტალურ სიჩქარეს** (180 კმ-მდე საათში) ახვითარებს შევი ნამგალა. იგი განეკუთვნება ყველაზე ფრინვად ფრთოსნებს მსოფლიოში, ვინაიდან შეუძლია რამდენიმე წელი იმყოფებოდეს პატარში და დაიჭიდოთ ყველა თავისი მოთხოვნილება.



**ყველაზე სწრაფად იმ ფრინველებს** შორის, რომლებიც არ დაფრინავენ, დარბის აფრიკული სირაქლემა, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეუძლია განავითაროს 72 კმ-მდე სიჩქარე საათში. იგი ასევე ყველაზე მდიმე (175 კგ-მდე) და ყველაზე მაღალია (2,7 მ) ფრინველებს შორის.

## საიცხოესო უძრავი ფინვალები



**ყველაზე მკვირცხლი მორბენალი ფრინველებს** შორის — მიწის თუთიყუშია, რომელიც მიწაზე საათში 20 კმ. სიჩქარით დარბის, საჭიროების შემთხვევაში კი შეუძლია 40 კმ. სიჩქარითაც ირბინოს. მისი დადვნება პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან თუთიყუში, არანაკლებ კურდღლისა, ხლართავს გზას და არჩევს გაქანდეს ხოლმე, ვიდრე მარათონულად ირბინოს.



**ყველაზე სწრაფი მოცურავე** — პაპუას პინგვინია, რომელსაც შეუძლია 27, ზოგიერთი მონაცემით კი 36 კმ. საათში იცუროს.



# କାନ୍ତିକାଳ

## პორიზონტალურად:


- მთა, რომელზეც იესო წმინდად იმყოფებოდა  
მოწაფეებთან ერთად და რომლიდანაც ის  
ამაღლდა (მათ. 24:3; საქ. 1:1-13).
  - რებეკას ძმა (დაბ. 24:29).
  - ღმერთის სამყოფელი (3 მეტ. 8:43).
  - ვინ იყო სამი დღე და ღამე დიღი თევზის  
მუცელში? (მათ. 12:40).
  - დაბადების მომდევნო წიგნის სახელი.
  - მართას და (იოან. 11:1).
  - ფრინველები, რომლებიც წინასწარმეტყველ  
ელიას საკვებს უზიდავდნენ (3 მეტ. 17:1-6).
  - ღმერთის თავკანისცემის ადგილი  
იერუსალიმში (ლუკ. 18:10).

კერტიკალურად:

1. ქალაქი, სადაც ჯვარს აცვეს იესო  
(ლუკ. 18:31-33).
  2. მოსეს დის სახელი (რიცხ. 26:59).
  3. ადამის ცოლი (დაბ. 3:20).
  5. იერუსალიმის ცხრა კარიბჭიდან  
ერთ-ერთის სახელი (ნეგმ. 2:13).
  6. ქამის შვილი, ნოეს შვილიშვილი  
(დაბ. 9:18).
  12. იესო ერთ-ერთი მოწაფე (მათ. 10:2).
  13. ცხოველი, რომლითაც იესო შევიდა  
იერუსალიმში (იოან. 12:12-15).
  15. მცირე წინასწარმეტყველი ბიბლიაში.
  17. ქალაქი, სადაც იესო დაიბადა (მათ. 2:1).
  18. საიდან იყო იესო? (იოან. 1:45).

შეადგინა ი. კ.

ნაზარეთი ი. ს.



# საჩუქრები

ეს მოხდა 2009 წ. 23 დეკემბერს. ჩვენ ვატარებდით საშობაო ღონისძიებას ძირნიერის დასახლებაში ოქმაზე „სამარიელის ჩანთა.“ ბავშვები ისმენდნენ ისტორიას კეთილ სამარიელზე ყურადღებით და ინტერესით. წამოდგა ერთი ბავშვი მრავალშვილიანი ოჯახიდან და თქვა, რომ შეუძლია ყულაბაში შეგროვილი ფულიდან გაიღოს თანხა სხვა ბავშვებისთვის საჩუქრების საყიდლად.


შემდეგ ჩვენთან სტუმრად მოვიდა „მოგვი აღმოსავლეთიდან“ და მოგვიტანა საჩუქრები. ბავშვების სახეები სიხარულისაგან გაბრწყინდა. მაგრამ უცრად ოთახში შემოვიდა ქალი და თქვა: „რა მხიარულად ხართ! საჩუქრებს არიგებთ, მე კი არ მაქვს საჩუქრი...“ ერთ-ერთი ბიჭი (ის ერთი ყავთ მშობლებს) მაშინვე ადგა, გაუწოდა ქალს თვისი საჩუქარი და უთხრა: „ეს თქვენ!“ მან უპასუხა: „მადლობა! მაგრამ შენ დარჩები საჩუქრის გარეშე!“ ბიჭმა თქვა: „არა უჭირს რა.“ ქალმა აიღო საჩუქარი და წავიდა.

როცა ღონისძიება დასრულდა, დამსწრებმა დაიწყეს სახლებში წასვლა. კიბეზე ის ქალი ელოდა ამ ბიჭს. მან დაუბრუნა საჩუქარი და ბევრი კეთილი სიტყვაც უთხრა მას.

ოქსანა და ბავშვები, წრე „კეთილი უწყება,“ ლატვია


## გულუსვი გიგი

გააფერადე ნახატი






3. გ. 11 ნილს, კახაბეგი



3. გ. 6 ნილს



3. გ. 12 ნილს, მოცემვეთი



3. გ. 8 ნილს, კახაბეგი




3. გ. 10 ნილს, კახაბეგი



3. გ. 10 ნილს, მოცემვეთი

### 12-13 გვერდების პასუხები:

4. მოსე და ათი მცნება



აღთქმის კიდობანი 1

სასანოლე შეიძიო ტოტით 2

მღვდლები, რომლებიც 12 პურს დებენ

მაგდაზე 3, 4

მღვდლელმთავრი 5

მღვდლები 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14,

15, 16

ბრინჯაოს საბანელი 17

გველი 18

მღვდლები ვერცხლის საყვირებით 19, 20

კაცები, რომლებსაც მტკვანი მოაქვთ 21, 22

ქალები, რომლებსაც წყლით საუსე დოქები მოაქვთ 23,

24, 25

კაცები, რომლებიც ჩხებობენ 26, 27, 28

მწერების გუნდი 29

ქალები, რომლებიც ქსოვილს კაცენ 30, 31

ბიჭი ბატქით მხრებზე 32

სვეტები კარავში შესასვლელის წინ 33, 34,

35, 36, 37


უძმები 38, 39, 40, 41, 42, 43

ღიდი სამსხვერპლო 44

მცირე სამსხვერპლო 45



მისია „შუქი  
აღმოსავლეთში“



ა. მ. 8 წლის,  
უახაინა



მ. 6. 7 წლის,  
ჩახათი



საბავშვო ქრისტიანული უურნალი  
გამოდის 1990 წლიდან.

მთავარი რედაქტორი:

## ვალდემარ ბახეცელი

რედაქციის მისამართი გერმანიაში:  
LICHT-IM-OSTEN, Postfach-1340,  
70809-Kotmal, GERMANY.

ტელ: 49 711 839908-23;

ფაქსი: 49 711 839908-4.

E-mail: ezom@lio.org

სკოლის დაწყებითი და შუა კლასების  
ბავშვებისათვეს

ქართული გამოცემის რედაქტორი:

ლუხუმა მაისურაძე

კომპიუტერული დამუშავება:

დათო მაისურაძე, თაკო მაისურაძე

მისამართი: ქ.თელავი. დადიანის 8

ტელ: 551 22 02 60

ელ ფოსტა: luhummaisuradze@yahoo.com

Facebook page: საბავშვო უურნალი „ბილიკი“

დაბეჭდილია სტამბა „სეზანები“

ISSN 1987-72 O X

UDC 0875050 (47922) ბ 676

გვ. 2 დახსნილტა სიხარული: იესო კვლავ დაბრუნდება და ჩვენ თვისთან წაგვიყვანს.

გვ. 4 ლაიკითხვა: დვთის ძე გახდა ადამიანი.  
გამოიცანი: იესოს შობის ისტორია.

გვ. 5 რომელი პასუხია სფორი: 1/ბ, 2/გ, 3/ბ, 4/ბ, 5/ა, 6/ბ

გვ. 24 პროსპორტი:

პორიზონტალურად: 4. ზეთისხილის. 7. ლაბანი. 8. ზეცა. 9. იონა. 10. გამოსვლა. 11. მარიამი. 14. კორნები.  
16. ტაძარი.

ვერტიკალურად: 1. იერუსალიმი. 2. მირიამი. 3. ვა. 5. სანაგვე. 6. ქანაანი. 12. იოანე. 13. ჩოჩორი. 15. ოსია.  
17. ბეთლემი. 18. ნაზარეთი.

ବୀଳାରୁତି  
କ୍ଷେତ୍ରକୁ  
ପନ୍ଦକା!



ISSN1987-720X



9 771987 720007